ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1167225

ნომერი: AR1202051

თარიღი : 06.03.2014

გაცემის თარიღი : 13.03.2014

გაცნობის თარიღი : 14.03.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კუს ტბის ტერიტორია. ; ქალაქი თბილისი , კუს ტბის მიმდ. ტერიტორია ; ქალაქი თბილისი , კუს ტბის მიმდებარე ტერიტორია; ქალაქი თბილისი , კუს ტბის ტერიტორია. ; ქალაქი თბილისი , კუს ტბა ; ქალაქი თბილისი , კუს ტბა , (ნაკვეთი N003/071) ; ქალაქი თბილისი , კუს ტბა , (ნაკვეთი N003/072) ; ქალაქი თბილისი , კუს ტბა , (ნაკვ.014/005) ; ქალაქი თბილისი , კუს ტბა , (ნაკვ.014/004) ; ქალაქი თბილისი , კუს ტბა , მიმდებარედ (ნაკვეთი 01/007); ქალაქი თბილისი , კუს ტბა ; ქალაქი თბილისი , კუს ტბის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , კუს ტბა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ბადაგაძე პ/ნ 01031001699
- თბილისი ს.მეტრეველის ქ. N 18

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს კუსტბაპალასი კოდი: 205080115

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – არქიტექტურის სამსახური გაეცნო თქვენს 03.06.2014 წ. AR1202051 განცხადებას, რომლითაც ითხოვთ თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: ##01.14.13.013.001; 01.14.13.013.006; 01.14.13.013.007; 01.14.13.014.001; 01.14.12.001.002; 01.14.12.003.071; 01.14.12.003.102; 01.14.13.014.005; 01.14.13.014.004; 01.14.12.001.007; 01.14.13.013.003; 01.14.12.003.109) გაცნობოთ ვრცელდება, თუ არა სარეკრეაციო ზონები. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის #6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცდა დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს.

,,ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად:მიწის ნაკვეთებზე (საკადასტროკოდი: ##01.14.13.013.006; 01.14.13.013.007; 01.14.13.013.003) დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის მიხედვით ვრცელდება ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ), რომელიც “წარმოადგენს თბილისის (ადმინისტრაციულ) საზღვრებში არსებულ ბუნებრივი ლანდშაფტის ან ფასეული ხელოვნური ლანდშაფტის ტერიტორიას, სადაც შესაძლებელია მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი შენობა-ნაგებობების განთავსება კანონმდებლობის შესაბამისად”.

მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.14.13.013.001) დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის – რუკის მიხედვით, ნაწილობრივ ვრცელდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1) და ნაწილობრივ, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ).

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1), მდებარეობს ადმინისტრაციულ საზღვრებში და მოიცავს არსებულ და საპროექტო (პერსპექტიულ) ქუჩებს, გზებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს, გზაგამტარებს, დროებით ავტოსადგომებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს (ჩამონათვალის ფარგლებში _ ტროტუარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, დროებით ჯიხურებს).

საკადასტრო ერთეულებზე საკადასტრო კოდებით: #01.14.12.002.031; 01.14.12.002.030; 01.14.13.014.004; 01.14.12.001.010; 01.14.12.001.003; 01.14.12.003.102; 01.14.12.003.071 დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის მიხედვით ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2).

სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) მდებარეობს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (მაგ.: პარკი, ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი), ღია სათამაშო მოედნებს და მსგავსი ტიპის სხვა ტერიტორიებს, სადაც ასევე დასაშვებია ამ წესების დანართით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობები.

ხოლო მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: #01.14.12.001.007; 01.14.13.014.005; 01.14.12.003.109; 01.14.12.001.002; 01.14.13.014.001) დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის – რუკის მიხედვით, ნაწილობრივ ვრცელდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1) და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

დანართის სახით გიგზავნით თქვენს დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის აეროგადაღებას საკადასტრო

ერთეულებისა და ფუნქციური ზონების ჩვენებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.